




სოფია, 28 ივლისი. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალის გახსნა. ფესტივალის მონაწილეთა საზეიმო სვლა სოფიის ქუჩებში.

ტელეფოტო ვ. ბუდანისა და ა. კუზიარინისა (საკდესი).

საათი

# ერთი რეკორდი დაეცა, მეორე არა

◆ იონჩეპინგი, 31 ივლისი. შვედი პეტერ ფეილის ევროპულმა რეკორდმა 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში ერთი კვირაც ვერ „იცოცხლა". ამ ქალაქის 50-მეტრიან აუზში ფეილმა წარმატებით იასპარეზა შვეციის ჩემპიონატში და 0,1 წამით „აჯობა" თავისივე ძველ რეკორდს. ახალი მიღწევაა 2.08,0.

◆ პორი (ფინეთი), 31 ივლისი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ამერიკელმა ჭოკით მხტომელმა ბ. სიგრენმა იერიში მიიტანა 540 სანტიმეტრზე, მაგრამ მისი სამივე ცდა — დაემხო მსოფლიო რეკორდი, ამაო გამოდგა. სიგრენმა 520 სმ დაძლია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 150 (3634)

1968 წ. 1 აგვისტო, ხუთშაბათი

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

# პლანეტას ესმის სიჭაბუკის ხმა

სოფია, 31 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის დედაქალაქის ლურჯ ცაში ექოდ აიჭრა და მთელ პლანეტას მოედო სიტყვები: „თავისუფლება აფრიკას!", „ძირს რასიზმი და ნეოკოლონიალიზმი!". საფესტივალო მიტინგი გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა.

დღეს ჭაბუკებისა და ქალიშვილების მზერა აზიისა და ლათინური ამერიკის ახალგაზრდობისკენაა მიმართული. 31 ივლისი — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალის მეოთხე დღე ეროვნული თავისუფლების, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისთვის მებრძოლ ხალხებთან სოლიდარობას მიეძღვნა.

დილიდანვე დაიწყო 143 ქვეყნის დელეგატთა ხელმოწერების შეგროვება მოწოდებაზე, რომ ისრაელის ჯარებმა დატოვონ არაბული სახელმწიფოები. არაბი ჭაბუკებისა და ქალიშვილების გმირული ბრძოლა ახალგაზრდობის დიდ პატივისცემასა და თანაგრძნობას იწვევს. საფესტივალო ქალაქ „გარა ისკირში" დელეგატები მხურვალედ ესალმებოდნენ ახალგაზრდა არაბებს. მათ აღმართეს ტრანსპარანტები მოწოდებით, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს ისრაელის ვერაგული აგრესიის შედეგების სრული ლიკვიდაცია.

აქვე დაიწყო იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ აფრიკის ახალგაზრდობასთან სოლიდარობის მიტინგები.

სიტყვები „თავისუფლება" და „დამოუკიდებლობა" ხშირად გაისმოდა ლათინური ამერიკის ახალგაზრდა მებრძოლთა დელეგაციასთან შეხვედრის დროს. ამ კონტინენტის წარმომადგენლები ფესტივალზე ჩამოვიდნენ, რათა ეამბნათ ვენესუელის, კოლუმბიის, ჩილის პატრიოტებზე. საფესტივალო ქალაქში ჩატარდა კორეის, კამბოჯის, ლაოსის ხალხებთან სოლიდარობის მიტინგებიც.

დელეგატები ეწვივნენ სოფიის საწარმოებსაც, სადაც მიტინგები პირდაპირ დაზგებთან ტარდებოდა. ფესტივალის დედაქალაქში გაიხსნა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ხალხებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენები, მხატვრული ვერნისაჟები.



საბჭოთა სპორტსმენები ა. ივანოვა (მარცხნიდან მესამე) და პ. ბოლოტნიკოვი (ცენტრში) გდრ-ის დელეგატთა შორის.

ფოტო ვ. ბუდანისა და ა. კუზიარინისა (საკდესი).

უკანასკნელ საათს

# გუშჩინმა აჯობა ვარიუს

◆ ბრესტო, 31 ივლისი. იტალიის ამ ქალაქში გამართულ მძლეოსნურ ტურნირში ბირთვის კვრაში სსრ კავშირის რეკორდსმენმა ე. გუშჩინმა აჯობა ევროპის ჩემპიონს ვ. ვარიუს (უნგრეთი). გუშჩინის შედეგია 19,06 მეტრი, ხოლო ვარიუსი — 26 სანტიმეტრით ნაკლები. 400 მეტრზე თარჯრბენში ევროპის სტადიონებზე საუკეთესო შედეგს მიაღწია მძლეოსნობის ამ სახეობაში კონტინენტის ჩემპიონმა რ. ფრინოლიმ (იტალია) — 49,7 წამი. ფინიშთან მეორე იყო ლუგანსკელი ვ. სკომოროხოვი — 50,2. პოლონელმა ე. შორდიკოვსკიმ საუცხოოდ გაირბინა 800-მეტრიანი დისტანცია (1.46,6) და ჩამოიტოვა ამერიკელი მ. ვინცენტიდი — 1.47,4.

# ევროპულზე უკეთესიც

როგორც ვიტყობინებოდით, მოსკოვში გაიმართა ახალგაზრდათა საკავშირო პირველობა მძლეოსნობაში. ტურნირს უნდა შეერჩია კანდიდატები ნაკრებისა, რომელიც ლაიბციგში, ევროპის მორიგ ჩემპიონატში გამოვა. სამწუხაროდ, შეჯიბრებაში სსრ კავშირის ყველა საუკეთესო მძლეოსანი არ გამოსულა, ვინაიდან მათი ნაწილი სოფიის ფესტივალში მონაწილეობს, ნაწილი კი პარიზში ასპარეზობდა საფრანგეთის ნაკრებთან. მიუხედავად ამისა, მოსკოვურმა სტარტებმა რამდენიმე ნიჭიერი მძლეოსანი გამოავლინა, გაუმჯობესდა რეკორდები.

1500 მეტრზე რბენაში ს. მოშჩენკოვამ („ზენიტი") 4.28,4 აჩვენა და იუნიორთა საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა. 100 მეტრზე თარჯრბენში წინასწარი შეჯიბრებებისას ა. ზალოშენკომ („ტრუდი") და ლ. ზახარკინამ („დინამო") 14,4 აჩვენეს, რაც ახალი საკავშირო მიღწევა იყო. ამ რეკორდმა მხოლოდ ფინალამდე გაძლო. ფინალში ზახარკინამ იმარჯვა — 14,3.

1500 მეტრზე წინაღობებით რბენაში „შრომითი რეზერვების" გუნდის წევრი ბ. იუშკა მარტო საკავშირო მიღწევის გაუმჯობესებას არ დასჯერდა: მისი შედეგი — 4.05,8 ევროპულ რეკორდზე უკეთესია.

უკანასკნელ საათს

# მონბლანზე ასვლას და ჩამოსვლას — 8 საათი და 48 წუთი...

◆ შამონი, 31 ივლისი. ორმა ფრანგმა ჟანდარმმა — 30 წლის რენე სეკრეტენმა და მისმა თანატოლმა ჟან-მარი ბურჟუამ უჩვეულო რეკორდი დაამყარეს. საგანგებო სამთო მზირების ეს წყვილი საფრანგეთის ამ საკურორტო ქალაქიდან გავიდა და ალპების უმაღლეს მწვერვალზე მონბლანზე ასვლას და ჩამოსვლას სულ 8 საათი და 48 წუთი მოანდომა. ძველი რეკორდი — 13 საათი და 10 წუთი დამყარებული იყო... 1910 წელს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი რეკორდსმენი — ჟან-მარი ბურჟუა საფრანგეთის ჩემპიონია 50 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში და სათხილამურო ორჭიდში.

# სსრ კავშირის პირველობა

# გუშინ...

შედგა მორიგი ტურის მატჩები. ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და თბილისის „დინამო". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:2. ბურთები გაიტანეს: ქუთაისელთაგან — ნაჟუებიამ და ქითანავამ (2), თბილისელთაგან — პეტრიაშვილმა (საკუთარ კარში), ასათიანმა და კუტივაძემ.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია:

„შახტიორი" — „ჩერნომორეცი" 0:2

„ზარია" — „დინამო" (კიევი) 0:2

„ნეფტჩი" — „კრილია სოვეტოვი" 1:1

სკა (როსტოვი) — „არარატი" 4:0

„პახტაკორი" — „დინამო" (მინსკი) 1:2

„დინამო" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" 6:2

„დინამო" (კიროვაბადი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:1

„კაირატი" — „ზენიტი" 0:2




# „იმედის თასზე"

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი „იმედის თასზე". ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და ტაჯიკეთის ნაკრები გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯერჯერობით მეორე ადგილზე

წლეულს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ტარდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების I რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. ზოგიერთი სახეობის წარმომადგენლებმა უკვე საკავშირო ფინალურ თამაშებშიც იასპარეზეს. მაგალითად, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა II ადგილი დაიკავეს, „კლასიკოსებმა" — III. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ავტომობილისტთა მრავალჭიდშიც III საპრიზო ადგილი დაიკავეს. შედარებით წარუმატებლად გამოვიდნენ მოშაშეები, რომლებმაც მხოლოდ XI ადგილის მოპოვება შეძლეს.

4 სახეობის შემდეგ კომპლექსურ ჩათვლაში საქართველოს „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს კოლექტივი II ადგილზეა (19 ქულა).

I ადგილზეა რსფსრ-ს „უროჟაი" (6), III—ესტონეთის „იიუდი" (20), IV — უზბეკეთის „პახტაკორი" (26), V — ყაზახეთის „კაირატი" (28), VI — უკრაინის „კოლგოსპნიკი" (29).

# წინ საკავშირო ფინალია

ახლახან ბათუმში დამთავრდა ფინალური შეჯიბრება ხელბურთში. ამ დახვეწილ რესპუბლიკურ ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო შვიდმა გუნდმა. მათ შორის უკონკურსოდ გამოდიოდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნაკრები. ტურნირი სწორედ ამ კოლექტივმა განვლო დაუმარცხებლად და გათამაშებაში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა: დაამარცხა მახარაძის (28:10), აჭარის (23:17), ზესტაფონის (44:28), გორის (20:10) და თელავის (38:21) გუნდები, აფხაზეთის ნაკრებთან შეხვედრა კი ფრედ დაამთავრა.

„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნაკრებში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის საუკეთესო მოთამაშეები შეიყვანეს. სათანადო წვრთნის შემდეგ საქართველოს სოფლის ახალგაზრდობის ხელბურთელთა კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ფინალურ თამაშებში.

რესპუბლიკური თამაშების ჩემპიონობა მოიპოვა აჭარის კარგად მომზადებულმა გუნდმა. იგი მხოლოდ ცენტრალური საბჭოს ნაკრებთან დამარცხდა, ხოლო მახარაძის (41:39), აფხაზეთის (38:10), ზესტაფონის (30:26), გორის (27:9) და თელავის (36:19) გუნდებს მოუგო.

II ადგილი დაიკავა მახარაძის ნაკრებმა, რომელმაც დაამარცხა აფხაზეთის (37:27), ზესტაფონის (34:31), გორის (21:19) და თელავის (41:31) გუნდები და წააგო აჭარისა და ცენტრალური საბჭოს ხელბურთელებთან.

III საპრიზო ადგილი წილად ხვდათ ზესტაფონელებს. მათ 3 შეხვედრა მოიგეს: აფხაზეთთან (28:21), გორთან (34:32) და თელავთან (20:12), ხოლო დამარცხდნენ მახარაძის, აჭარისა და ცენტრალური საბჭოს გუნდებთან.

ჯ. ენდელაძე.

## ზუგდიდი

აქ გაიმართა საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება ფრენბურთში. ვაჟთა შორის ყველა შეხვედრა კარგად ჩაატარა მახარაძის რაიონის ნაკრებმა და ღირსეულად მოიპოვა I ადგილი. II ადგილზე გავიდნენ ტყიბულელები, III — ზუგდიდელები. ქალთა გუნდებში უძლიერესი იყო ზუგდიდის ნაკრები. II ადგილზე გავიდა ტყიბულის, ხოლო III— მახარაძის გუნდი.

ზ. ალშიბაია.

# 6 მედლით

მოსკოვი (ჩვენი სპეც. კორ.). ადგილიდან სროლაში შეჯიბრების პირველი დღის შედეგების შემდეგ მოწკავშირის გუნდი მხოლოდ 2 ქულით აგებდა III ადგილს. მეორე დღეს პირველივე სერიაში ოთხმა ჩვენმა მსროლელმა 100 შესაძლებლიდან 94-94 ქულა მოაგროვა და გუნდმა III ადგილზე გადაინაცვლა. მაგრამ ეს იყო და ეს. მომდევნო სერიებში გუნდს დაღლილობა დაეტყო, მოპოვებული წარმატება დათმო და იძულებული გახდა V-VI ადგილი გაეყო რსფსრ-ს მონადირეებთან.

გუნდური პირველობა მოიპოვა სამხედრო მონადირეთა საზოგადოების ნაკრებმა (770 ქულა 800-დან). II ადგილზეა „ლოკომოტივი", რომლის ოთხი წევრიდან ორი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო: ვ. ალავერდოვი (გუნდს მისცა 188 ქულა) და ზ. მაჩხანელი (187).

მრგვალ სტენდზე სროლაშიც სამხედრო მონადირეთა საზოგადოების გუნდმა იმარჯვა — 800 შესაძლებლიდან 759 ქულა. II ადგილზე გავიდა „დინამო", რომელიც გამარჯვებულს 26 ქულით ჩამორჩა, III — „სპარტაკი"—729. მოწკავშირის ნაკრებმა IX ადგილი დაიკავა.

საერთოდ, მრგვალ სტენდზე სროლაში რამდენიმე წელია წარუმატებლად გამოვდივართ. მიზეზი ისაა, რომ წლების მანძილზე გუნდში არიან ერთი და იგივე, უპერსპექტივო მსროლელები, რომელთა მაჩვენებლები 82-84 პროცენტს არ აღემატება.

სროლის ორივე სახის კომპლექსში (სროლა ადგილიდან და მრგვალ სტენდზე პლუს ერთი ქალის შედეგი) გარდამავალი ჯილდო და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა სამხედრო მონადირეთა საზოგადოების კოლექტივმა.

დიდ წარმატებას მიაღწია „ლოკომოტივმა", რომელმაც კომპლექსში პირველად მოიპოვა II საპრიზო ადგილი. გუნდის ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის უფროს მწვრთნელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს მაჩხანელს. III ადგილზე გავიდა „დინამოს" ნაკრები.

ამავე დღეს დამთავრდა ქალთა პირადი პირველობა. ადგილიდან სროლის შედეგებზე ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით.

მრგვალ სტენდზე გაიმარჯვა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ლ. გურვიჩმა (სამხედრო მონადირეთა საზოგადოება) — 94. II ადგილი წილად ხვდა სპორტის დამსახურებულ ოსტატს კ. სმირნოვას („სპარტაკი") — 90, FII — ე. შებაშოვას (სამხედრო მონადირეთა საზოგადოება) — 85.

დაძაბულად წარიმართა ვაჟთა პირადი პირველობა. ადგილიდან სროლაში შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ შეიქმნა ლიდერთა დიდი ჯგუფი, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკიდან კ. დარასელია („განთიადი"), ალავერდოვი და მაჩხანელი შედიოდნენ. მეორე დღეს დარასელიამ და ალავერდოვმა ორი სერიის შემდეგ მხოლოდ თითო სამიზნეს ააცდინეს, მაჩხანელმა — სამს. მომდევნო სერიებში დარასელიამ და ალავერდოვმა 50-დან 49-49 სამიზნე დააზიანეს, მაჩხანელმა — 43. ეს უკანასკნელი ფაქტიურად გამოეთიშა ოქროს მაძიებელთა ჯგუფს. შეჯიბრებას სათავეში მოექცა არმიელი პ. სენიჩევი — 195 ქულა 200-დან. მას მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩებოდა დარასელია.

ბოლო დღე ფინალურ შეჯიბრებას დაეთმო. ადგილიდან სროლაში 48 და მრგვალ სტენდზე სროლაში 40 სპორტსმენს 100-100 სამიზნე ელოდა. დარასელია გადამწყვეტ ეტაპზე ცუდად ისროდა და საპრიზო ადგილზე გასვლის ყველა შანსი დაკარგა (საბოლოოდ — 283 ქულა და VI ადგილი). სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა სენიჩევი, რომელმაც ბოლო დღეს 99 ქულა მოაგროვა, საერთო ჯამში — 294 (300-დან). II და III ადგილებზე გავიდნენ მისი თანაგუნდელები ი. კოსტილიევი და ი. ტერენტიევი — შესაბამისად 288 და 287 ქულა. მაჩხანელი IX იყო — 280. ალავერდოვს XII ადგილი ხვდა— 278.

მრგვალ სტენდზე სროლაში საქართველოს სპორტის ოსტატთა რიგებს შეემატა 19 წლის თეიმურაზ მატოიანი (მოწკავშირი). შეჯიბრების მეორე დღეს მატოიანს მხოლოდ 2 ქულა დააკლდა ამ ნორმატივამდე, მესამე დღეს კი ფინალში მიაღწია მიზანს — 96 ქულა აჩვენა.

სროლის ამ სახეობაში ჩემპიონია რუსეთის მონადირეთა საზოგადოების წარმომადგენელი ი. ცურანოვი (290 ქულა 300-დან) მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ე. პეტროვი და ე. კონდრატიევი (ყველა — სამხედრო მონადირეთა საზოგადოება).

ოქროს 1, ვერცხლის 5 მედალი, ერთი ახალი სპორტის ოსტატი — ასეთია ჩვენი რესპუბლიკის სასტენდო სროლის ოსტატთა შედეგები სსრ კავშირის საუწყებათაშორისო პირველობაში.

ჯ. მოწონელიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## ახმეტა

„კოლმეურნის" კალათბურთელთა რაიონულ პირველობაში 7 გუნდი მონაწილეობდა. ყველას აჯობეს მევენახეობის ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობის კალათბურთელებმა, II ადგილზე გავიდნენ ხოდაშნის კოლმეურნე სპორტსმენები, ხოლო III— მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლები.

ე. ზარიძე,
ზ. ნათელაური.

# 12?!

ჩვენი რესპუბლიკის წყალში მხტომელთა თითქმის 80 პროცენტი თბილისზე მოდის. ამიტომ დედაქალაქის პირველობა რესპუბლიკურ შეჯიბრებას მხოლოდ მონაწილეთა უმნიშვნელო რაოდენობით თუ ჩამოუვარდება.

თბილისის პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც „სპარტაკის" საცურაო აუზში ჩატარდა, 40-ის ნაცვლად 12 სპორტსმენმა ძლივს მოიყარა თავი. ეს ამბავი მსაჯებმა და მწვრთნელებმა იმით ახსნეს, შეჯიბრება საზაფხულო არდადეგებს დაემთხვაო (!).

სრულად დაკომპლექტებული გუნდი არავის გამოუყვანია. გუნდური პირველობისთვის ბრძოლის უფლება მხოლოდ „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" კოლექტივებმა მიიღეს, დანარჩენები კი პირად პირველობაში ჩაებნენ.

დაძაბული იყო ქალთა შეჯიბრება. ტრამპლინიდან ხტომაში სავალდებულო პროგრამის შემდეგ განთიადელი ნ. სმირნოვა დაწინაურდა. ნებისმიერ ვარჯიშებში იგი დაჯაბნა თანაგუნდელმა ა. კალიაგინამ, რომელმაც ოსტატის შედეგით (139,66 ქულა) მოიპოვა ჩემპიონის სახელი. სმირნოვამ 85,99 ქულა მოაგროვა. „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი ნ. კიშკო აშკარად მოუმზადებელი გამოვიდა სარბიელზე და 77,01 ქულით III ადგილს დასჯერდა.

კიშკო კოშკიდან ხტომაშიც მესამე იყო (71,33 ქულა). არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა ნ. ცოცხალაშვილმა ოლიდ დაამარცხა კალიაგინა და პირველად მოიპოვა ქალაქის ჩემპიონობა „დიდებში" (ამ სამი წლის წინ იგი მოზარდთა პირველობის ჩემპიონი იყო). მისი შედეგი — 93,23 ქულა სპორტის ოსტატის ნორმატივია. კალიაგინა გამარჯვებულს 5,89 ქულით ჩამორჩა.

ვაჟებში სპორტის ოსტატის შედეგი მხოლოდ ბურევესტნიკელმა ა. ოსინინმა აჩვენა. იგი უბადლო იყო როგორც ტრამპლინიდან (134,31 ქულა — ოსტატის შედეგი), ისე კოშკიდან ხტომაში — 128,86.

დანარჩენი საპრიზო ადგილებიც ოსინინის თანაგუნდელებს ხვდათ. ა. ბართაია ტრამპლინზე მესამე იყო — 118,89, კოშკიდან ხტომაში კი მეორე — 108,52. ტრამპლინზე II ადგილი წილად ხვდა ვ. ესიკოვსკის — 119,32, კოშკზე III ადგილი დაიკავა ი. კირაკოსიანმა — 69,62.

გუნდურ ჩათვლაში „ბურევესტნიკმა" ქულათა დიდი სხვაობით (490,83:188,21) დაამარცხა „დინამო".

თ. ბაჩეჩილაძე.

# ერთი ნაბიჯი „ვერცხლის ბურთამდე"

მოსკოვში ათ დღეს გრძელდებოდა საშუალო სკოლების მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრება „ვერცხლის ბურთის" პრიზზე ფრენბურთში. წარმატებით იასპარეზა თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ჭაბუკთა გუნდმა, რომელმაც ქვეჯგუფში ერთნაირი ანგარიშით (2:0) დაამარცხა უკრაინის, ლენინგრადის, ესტონეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის კოლექტივები.

I-VI ადგილებისთვის მებრძოლთა ფინალურ ჯგუფში თბილისელებმა მოუგეს მოლდავეთისა და ბელორუსიის გუნდებს (ორივეს — 2:0), დამარცხდნენ ლატვიისა და სომხეთის გუნდებთან და საბოლოოდ II ადგილი დაიკავეს.

პირველობა წილად ხვდათ იჯევანის (სომხეთი) 1-ლი საშუალო სკოლის, III — ლიდის (ბელორუსია) მე-2 საშუალო სკოლის ფრენბურთელებს.

გოგონათა გუნდებში პრიზი მოიპოვეს სხოდნის (მოსკოვის ოლქი) მე-3 საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდნენ დაუგავპილსის (ლატვია) მე-3 საშუალო სკოლის, III — ვირუს (ესტონეთი) 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლები. თბილისის მე-15 საშუალო სკოლის გუნდი XI ადგილზეა.

უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო შეჯიბრებამდე თბილისის გუნდებმა წარმატებით განვლეს რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური ტურნირები, სადაც I ადგილები დაიკავეს და საკავშირო ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.



სურათზე: თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ჭაბუკი ფრენბურთელები თავიანთ აღმზრდელებთან ერთად. მარცხნიდან გ. პავლიაშვილი (გუნდის უფროსი), ვ. ფილოლოგი, ბ. პავლიაშვილი, გ. კაბისოვი, ა. კუდინოვი, ვ. მიხაილოვსკი, თ. იაშვილი, ა. დათიაშვილი, ს. ბაევი, ლ. აირაპეტიანი, ა. იგნატოვი (მწვრთნელი).

# მსოფლიო რეკორდზე მაღლა

კიევი, 30 ივლისი (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა ტყვიის სროლაში. როგორც ვიტყობინებოდით, ტურნირში საქართველოს 11 სპორტსმენი მონაწილეობდა. გაგაცნობთ მათს საბოლოო შედეგებს.

მსხვილკალიბრიანი რევოლვერ-პისტოლეტით სროლაში მ. ჟამურაშვილმა პირად ჩათვლაში II ადგილი დაიკავა და გუნდურ შეჯიბრებაშიც ვერცხლი დაისაკუთრა. ასეთსავე წარმატებას მიაღწია ვ. ახალაძემ, რომელმაც არმიული შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში 560 ქულა დააგროვა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მისი მაჩვენებელი შ. ქველიაშვილის რესპუბლიკური რეკორდის გამეორებაა და 2 ქულით აღემატება ლ. ლუსტბერგის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს. ახალაძეს გუნდურ ჩათვლაშიც ვერცხლი ხვდა.

სახმელეთო ჯარების ქალთა გუნდმა, რომელშიც თბილისელი ლ. ჟურული გამოდიოდა, მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა. ამან ჟურულს ოქროს მედალი მოუტანა.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის ოქრო ხვდა ვ. სალუქვაძესაც, ხოლო ბრინჯაო — ე. აბაჯანს. „გაქცეულ ირემზე" მოასპარეზე გ. თავდიდიშვილმა იუნიორთა ტურნირში II ადგილი დაისაკუთრა.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდა შ. ქველიაშვილი. ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე სროლაში მან 1157 ქულა (და არა 1150, როგორც ადრე ვწერდით) მოაგროვა. ეს 4 ქულით აღემატება მისსავე რესპუბლიკურ რეკორდს, რომელიც ტოკიოს ოლიმპიადის წელს დაამყარა და 1 ქულით სჯობს შარშანწინ გ. ანდერსონის (აშშ) მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს. ჩოქილა სროლაში ქველიაშვილმა 394 ქულა აჩვენა, რამაც ჩემპიონის ოქროს მედალი მოუპოვა. ამ ვარჯიშში მან 3 ქულით გააუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი და გაიმეორა 1964 წელს მ. ნიიაზოვის მიერ დამყარებული საკავშირო მიღწევა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქველიაშვილის ეს მაჩვენებელი 3 ქულით სჯობს შარშანწინ ამერიკელი დ. ფოსტერის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა სახმელეთო ჯარების ნაკრებმა გაინაღდა.

თ. ლეკიშვილი,
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უტყუარი დიპლომი.

ფოტო მ. დათიკაშვილისა.



ფეხბურთი -68

სსრ კავშირის პირველობა

# მხოლოდ ქულა

"ა" ჯგუფი II ზონა

III ქვეჯგუფი

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 30 ივლისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „თერგი" (გროზნო) 2:2 (1:0).

„ლოკომოტივი": ზერიძე, დვალიძე (შეყრილაძე), ბერძენიშვილი, პანოვი, გოგიჭორი, ძაგანია, ონიანი, შხვაცაბაია, მიქაშავიძე, ჭეიშვილი, შელიძე (მეხაძე).

„თერგი": ვოლოშინი, კოჩერგინი, რაჟენკოვი, დენიევი, ხაიგაროვი, ბუდაგიანი, აკოფოვი, მოროზოვი (გორშკოვი), ტოლსტოვი, იაკუშკინი, მიხეევი.

მსაჯი ე. აზიმ-ზადე (ბაქო).

დუბლიორები — 2:1 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ თბილისის „ლოკომოტივის" სტარტი წლევანდელ გათამაშებაში. იგი საუცხოო იყო: გუნდი საიმედოდ, კოლექტიურად, აგრესიულად თამაშობდა და სამ მატჩში (სამივე მოგება) მოწინააღმდეგეთა კარში 9 „მშრალი" გოლი გაიტანა.

ახლა ეს ციფრები შევადაროთ ბოლო 6 ტურის მატჩებს. თბილისელებმა 3 წააგეს და 3 ფრედ დაამთავრეს, ამასთან, საკუთარ კარში მიიღეს 7 ბურთი, ხოლო გაიტანეს სულ ერთადერთი გოლი (ჩელიაბინსკელ თანაკლუბელებთან).

ასეთი მაჩვენებლებით, რა თქმა უნდა, შორს ვერ წახვალ. და თბილისის „ლოკომოტივი" არც წასულა შორს. განვლილი მატჩისთვის იგი მხოლოდ XIII ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ გუნდის გასამართლებლად უნდა ითქვას, რომ მას დიდი დანაკლისი აქვს ძირითად შემადგენლობაში (ტრავმები, ავადმყოფობა), სათადარიგო მოთამაშეთა შორის კი ვერ გამოიძებნა სათანადო შემცვლელები. ფეხბურთელთა ხშირი და იძულებითი ცვლა კოლექტივს მძიმედ ეტყობა.

გროზნოს „თერგი" „ა" კლასის II ჯგუფის გამოცდილი, ძველი წარმომადგენელია, მაგრამ წლეულს მასაც ცუდად აქვს საქმე — თბილისის „ლოკომოტივზე" უარესად. ამიტომ ბრძოლა მათ შორის განსაკუთრებული დაძაბულობით მიმდინარეობდა. რკინიგზელები ორჯერ იყვნენ წინ ანგარიშში, „თერგმა" კი ორჯერვე შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და გადაარჩინა ქულა.

მასპინძლებს დასაწყისშივე ჰქონდათ საგრძნობი უპირატესობა, თუმცა ანგარიში მხოლოდ 33-ე წუთზე გაიხსნა: შხვაცაბაია მარჯვენა ფლანგიდან გავიდა გარღვევაზე, ცენტრში მიაწოდა ბურთი და მიქაშავიძემ ბადეში გაგზავნა იგი — 1:0.

საპასუხო გოლი გროზნოელებმა თითქმის საჩუქრად მიიღეს: მიხეევმა 50-ე წუთზე მოულოდნელად დაარტყა კარში, ზერიძე მზად არ აღმოჩნდა და გვიან გადახტა — 1:1.

„ლოკომოტივი" კიდევ ერთხელ დაწინაურდა ძაგანიას გოლის შემდეგ, მაგრამ გამარჯვების შენარჩუნება მაინც ვერ შეძლო. უკვე მაშინ, როცა თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, მცველებმა არაზუსტად ითამაშეს და საშუალება მისცეს ბუდაგიანს გაექვითა ანგარიში.

რ. ქორიძე.

## «დინამო» (ბათუმი) — «ზენიტი» (იჟევსკი) 4:0

## «მეშახტე» (ტყიბული) — «სტროიტელი» (უფა) 2:0

განვლილ ტურში კვლავ წარმატებით ითამაშა ბათუმის „დინამომ". ბათუმელმა ფეხბურთელებმა შინ მიიღეს იჟევსკის „ზენიტი" და დაამარცხეს იგი ანგარიშით 4:0.

წარმატებას მიაღწია ტყიბულის „მეშახტემაც", რომელიც 30 ივლისს მასპინძლობდა უფის „სტროიტელს". ტყიბულელებმა გაიმარჯვეს — 2:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო" (მახაჩყალა) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:0, „ფოლადი" (სუმგაითი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 1:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ზვეზდა" (პერმი) 2:1, „ვოლგა" (ულიანოვსკი) — „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) 0:2, „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:0, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) 2:2.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „სამცხე" (აწყური) — „სულორი" (ვანი) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

ორმხრივი შეტევების მიუხედავად, პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. შემდგომში მასპინძლებმა მთლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა, — ჯერ მიქაძემ გახსნა ანგარიში, ხოლო მერე მუმლაძემ საბოლოო გამარჯვება მოუტანა „სამცხეს".

● ასკ (თბილისი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 4:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „სპარტაკი" (ბორჯომი) 2:0. მსაჯი მ. ხუტაბა (სოხუმი).

შესვენებამდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო წარმატების მიღწევა, თუმცა საამისო შესაძლებლობა ჰქონდათ როგორც მასპინძლებს, ისე სტუმრებს. გორელმა ფეხბურთელებმა მეორე ნახევარში გააძლიერეს თამაში და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს (ბურთები გაიტანეს მაზიაშვილმა და რევაზიშვილმა).

● „აერო" (გალი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 2:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

● „არაგვი" (მცხეთა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:2. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

ანგარიში სტუდენტებმა გახსნეს მე-6 წუთზე 11-მეტრიანი დარტყმით (აფხაზავა). შემდეგ ცინცაძემ კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი, ხოლო მცხეთელებმა მატჩის დამთავრებამდე შეძლეს 1 საპასუხო ბურთის გატანა.

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „მესხეთი" (ახალციხე) 2:0. მსაჯი ვ. მედვედევი (რუსთავი).

● „ისანი" (თბილისი) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 0:1, მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

● „მშენებელი" (სიღნაღი) — „სინათლე" (თბილისი) 1:0. მსაჯი ა. ხანოზოვი (თბილისი).

მთელი მატჩი მიმდინარეობდა უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში. მისი ბედი გადაწყვიტა ალხაზიშვილის მიერ თბილისელთა კარში გატანილმა ერთადერთმა გოლმა.

● „ლაითური" (მახარაძის რაიონი) — „დურუჯი" (ყვარელი) 2:0. მსაჯი ო. მურვანიძე (ბათუმი).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

წულუკიძის „ფეიქარმა" ფრედ (0:0) ითამაშა „ნარინჯთან" (ბათუმის რაიონი).

"ბ" ჯგუფი

მოგვყავს ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების განვლილი ტურის შეხვედრათა შედეგები რსფსრ-ს ზონებში.

III ზონა

„უროჟაი" (ლაბინსკი) — „ენერგია" (ვოლჟსკი) 0:0, „ურალანი" (ელისტა) — „უროჟაი" (სლავიანსკი) 1:3, „უროჟაი" (სვეტლოგრადი) — „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) 1:0, „უროჟაი" (ალექსანდროვსკაია) — „ხიმიკი" (ნევინომისკი) 2:1, „სპარტაკი" (ორიოლი) — „სპარტაკი" (ბელგოროდი) 1:1.

IV ზონა

„ლორი" (კიროვაკანი) — „სევანი" (ოქტემბერიანი) 2:1, „ირისთონი" (მოზდოკი) — „ენგური" (ზუგდიდი) 1:1, „უროჟაი" (გროზნო) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:2, „გურია" (ლანჩხუთი) — „უროჟაი" (კრიმსკი) 3:2.

მახარაძის „მერცხალმა" ანგარიშით 1:0 დაამარცხა ზონის ლიდერი — ნოვოროსიისკის „ცემენტი".

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 1 აგვისტოსათვის

III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დილა" (გორი) | 21 | 13 | 6 | 2 | 36—11 | 32 |
| „ხიმიკი" (ბალაკოვო) | 20 | 9 | 10 | 1 | 18—7 | 28 |
| „შრ. რეზერვები" (კურსკი) | 19 | 12 | 3 | 4 | 27—6 | 27 |
| „სპარტაკი" (ბელგოროდი) | 20 | 11 | 5 | 4 | 29—13 | 27 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 21 | 11 | 3 | 7 | 19—13 | 25 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 20 | 10 | 4 | 6 | 28—14 | 24 |
| „ენერგია" (ვოლჟსკი) | 21 | 8 | 7 | 6 | 21—13 | 23 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 21 | 7 | 9 | 5 | 21—17 | 23 |
| „უროჟაი" (ლაბინსკი) | 19 | 7 | 9 | 3 | 11—10 | 23 |
| „უროჟაი" (სლავიანსკი) | 21 | 8 | 6 | 7 | 22—20 | 22 |
| „ტორპედო" (არმავირი) | 20 | 7 | 7 | 6 | 19—18 | 21 |
| „დაშკინი" (ზაქათალა) | 21 | 8 | 5 | 8 | 20—34 | 21 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 21 | 8 | 4 | 9 | 23—24 | 20 |
| „უროჟაი" (ალექსანდროვსკაია) | 21 | 7 | 5 | 9 | 17—19 | 19 |
| „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) | 20 | 6 | 6 | 8 | 16—22 | 18 |
| „უროჟაი" (სვეტლოგრადი) | 21 | 4 | 8 | 9 | 15—23 | 16 |
| „ტრუდი" (ენგელსი) | 18 | 4 | 7 | 7 | 12—17 | 15 |
| „ხიმიკი" (ნევინომისკი) | 21 | 4 | 6 | 11 | 14—26 | 14 |
| „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) | 21 | 2 | 9 | 10 | 10—24 | 13 |
| „არაზი" (ნახიჭევანი) | 21 | 4 | 4 | 13 | 16—32 | 12 |
| „ურალანი" (ელისტა) | 21 | 1 | 4 | 16 | 19—38 | 6 |

IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლორი" (კიროვაკანი) | 21 | 11 | 8 | 2 | 22—14 | 30 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 21 | 10 | 8 | 3 | 29—11 | 28 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 21 | 10 | 6 | 5 | 38—16 | 26 |
| „ნარზანი" (კისლოვოდსკი) | 21 | 8 | 8 | 5 | 26—14 | 24 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 21 | 10 | 4 | 7 | 33—24 | 24 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 21 | 7 | 10 | 4 | 25—19 | 24 |
| „არაქსი" (ეჩმიაძინი) | 21 | 11 | 2 | 8 | 22—18 | 24 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 21 | 9 | 5 | 7 | 28—16 | 23 |
| „მალაროელი" (ჭიათურა) | 21 | 7 | 9 | 5 | 19—18 | 23 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 20 | 9 | 4 | 7 | 22—15 | 22 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 21 | 7 | 7 | 7 | 22—24 | 21 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 21 | 7 | 7 | 7 | 23—31 | 21 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 20 | 7 | 6 | 7 | 16—20 | 20 |
| „დინამო" (სოხუმი) | 20 | 8 | 2 | 10 | 26—23 | 18 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 21 | 5 | 8 | 8 | 12—23 | 18 |
| „ირისთონი" (მოზდოკი) | 20 | 6 | 5 | 9 | 21—22 | 17 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 21 | 5 | 7 | 9 | 13—17 | 17 |
| „ტრუდი" (კასპიისკი) | 19 | 6 | 4 | 9 | 18—25 | 16 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 21 | 7 | 2 | 12 | 19—31 | 16 |
| „უროჟაი" (გროზნო) | 21 | 4 | 4 | 13 | 19—34 | 12 |
| „კახეთი" (თელავი) | 20 | 3 | 4 | 13 | 10—33 | 10 |

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 1 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (თბილისი) | 25 | 16 | 7 | 2 | 51—14 | 39 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 25 | 13 | 9 | 3 | 48—24 | 35 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 24 | 12 | 8 | 4 | 39—23 | 32 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 24 | 11 | 10 | 3 | 29—15 | 32 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 25 | 10 | 10 | 5 | 33—29 | 30 |
| „სპარტაკი" (ბორჯომი) | 24 | 9 | 11 | 4 | 33—22 | 29 |
| „სინათლე" (თბილისი) | 25 | 12 | 5 | 8 | 32—22 | 29 |
| „აერო" (გალი) | 25 | 10 | 9 | 6 | 25—25 | 29 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 25 | 10 | 8 | 7 | 33—30 | 28 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 24 | 9 | 9 | 6 | 37—24 | 27 |
| „სულორი" (ვანი) | 24 | 10 | 5 | 9 | 24—23 | 25 |
| „მშენებელი" (სიღნაღი) | 23 | 8 | 6 | 9 | 24—31 | 22 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 25 | 8 | 6 | 11 | 23—38 | 22 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 25 | 8 | 5 | 12 | 26—41 | 21 |
| „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) | 25 | 6 | 8 | 11 | 20—32 | 20 |
| „ისანი" (თბილისი) | 25 | 6 | 7 | 12 | 21—32 | 19 |
| „ლაითური" (მახარაძის რაიონი) | 25 | 6 | 7 | 12 | 21—24 | 19 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 24 | 6 | 6 | 12 | 24—37 | 18 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 25 | 8 | 1 | 16 | 21—36 | 17 |
| „სამცხე" (აწყური) | 25 | 3 | 10 | 12 | 24—33 | 16 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 24 | 5 | 6 | 13 | 16—29 | 16 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 24 | 5 | 5 | 14 | 19—38 | 15 |

**დღეს — 21 საათსა და 55 წუთზე თბილისის დროით ტელერეპორტაჟი მატჩისა: შვეცია — სსრ კავშირი**











განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკში ფიზკულტურასა და სპორტს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უთმობა. ფიზაღზრდის მასწავლებლები გ. სარია და ო. სტურუა დღენიადაგ იმის ცდაში არიან, რომ ნორჩებმა რაც შეიძლება კარგად დაისვენონ, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში, გაიკაჟონ და გამოიწრთონ სხეული. ამას ხელს უწყობს ის, რომ ბანაკს აქვს ხელბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის კეთილმოწყობილი მოედნები, მძლეოსნური სექტორები. პიონერები თამაშობენ მაგიდის ჩოგბურთს, ჭადრაკს, შაშს...

ყოველი ნაკადისთვის სპეციალურად დგება სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, ტარდება შიდასაბანაკო სპარტაკიადები, შეხვედრები მეზობელი ბანაკების გუნდებთან.

ახლახან დამთავრდა შიდასაბანაკო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში 7 სახეობა შედიოდა: კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ცურვა, მძლეოსნური სამჭიდი, ჭადრაკი და შაში. ამას გარდა, ბანაკის პიონერები ხშირად აწყობენ ტურისტულ ლაშქრობას. მათ უკვე ნახეს ქვიშხეთისა და ბორჯომის მიდამოებში არსებული ისტორიული ძეგლები.

ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა გადაიღო ქვიშხეთის პიონერთა ბანაკის სპორტული ცხოვრების ამსახველი სურათები, რომლებსაც დღეს ვაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

# „უბრალოდ, სპასკი უფრო ძლიერად თამაშობს“

ბ. სპასკი და მისი მწვრთნელი ი. ბონდარევსკი მალმედან (შვეცია) მოსკოვს რომ დაბრუნდნენ, მათ გაზეთ „შახმატნაია მოსკვას“ კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

● **როგორ აფასებდით ლარსენის შანსებს მატჩის წინ?**

სპასკი: ლარსენი მუდამ იწვევდა ჩემს სიმპათიას, როგორც ადამიანი და მოჭადრაკე. მისი ცნობილი განცხადებები და ინტერვიუები ბაქიობად ან თვითრეკლამად არ მიმაჩნია. დანიელი ბუნებით მეტად გულწრფელია და იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. მას სჯერა თავისი თავისა, თავისი ძალისა და ამის საფუძველიც აქვს. მაგრამ რამდენად შეესაბამება მისი აზრი სინამდვილეს, ამას ვერ გეტყვით.

● **როგორ შეხვდა ლარსენი სტარტზე თავის წარუმატებლობას?**

სპასკი: ბრძოლის მსვლელობამ იგი აშკარად დააბნია. ყოველი წაგების შემდეგ სულ უფრო და უფრო ეძლეოდა სასოწარკვეთილებას. ეს შეიმჩნეოდა მის გამოხედვაში და სიარულშიც კი. იგი პარტიის დამთავრებისთანავე ტოვებდა სატურნირო დარბაზს, უარს ამბობდა ტრადიციულ ერთობლივ ანალიზზე. მაგრამ IV პარტიაში ყაიმის შემდეგ დანიელი დიდოსტატი როგორღაც დამშვიდდა და ჩემთან ერთად რამდენიმე ვარიანტიც კი განიხილა. მე მგონია, იგი ჩაწვდა თავისი წარუმატებლობის მიზეზებს და ფსიქოლოგიური გამართლებაც მოუძებნა მათ.

რაც შეეხება ჩვენს პირად ურთიერთობას, ის მთელი მატჩის მანძილზე მეტად კორექტული გახლდათ. ეს ხომ ყოველი მოჭადრაკის ელემენტარული მოვალეობაა — დაიცვა ნორმალური ადამიანური ურთიერთობა მიუხედავად სპორტული შედეგისა.

● **რა არის ლარსენის დამარცხების მიზეზი?**

ბონდარევსკი: უბრალოდ, სპასკი უფრო ძლიერად თამაშობს. რაც შეეხება დანიელისთვის ესოდენ კატასტროფულ ანგარიშს, იგი ლარსენის არაობიექტურობის შედეგია. მას არ ესმოდა ან არ სურდა გაეგო, რომ, როგორც მოჭადრაკე, სპასკი სჯობდა. ამიტომ აუცილებელი გამარჯვებისთვის განეწყო. როცა რამდენიმე დარტყმა ზედიზედ მიიღო, დანიელმა ფსიქოლოგიურად შემობრუნება ვეღარ შეძლო.

სპასკის უპირატესობა ძირითადად მიტელშპილში გამოჩნდა. პოზიციის შეფასების ხელოვნებაში სპასკის, რამდენადაც მესმის, საერთოდ არ ჰყავს ტოლი თანამედროვე მოჭადრაკეთა შორის, სავსებით გასაგებია, რომ ლარსენს არ შეეძლო მასთან მეტოქეობა.

სპასკის მხოლოდ ტაქტიკურ გართულებებში არ ჰქონდა უპირატესობა. დანიელ დიდოსტატს დიდი კომბინაციური ნიჭი აქვს. შესაძლოა, ამ მხრივ იგი მხოლოდ ტალს ჩამორჩებოდეს.

ბოლო წლებში ლარსენმა შესამჩნევად გააძლიერა ენდშპილის თამაში. ახლა იგი უმაღლესი კლასის ტექნიკოსია, მაგრამ სპასკისთან მატჩში ამ თვისებების გამოვლენის საშუალება არ მიეცა. პარტიის ბედი, როგორც წესი, მიტელშპილში წყდებოდა, ენდშპილში კი მხოლოდ უპირატესობის რეალიზება ხდებოდა. სპასკიმ სამჯერ გადადო პარტია ზედმეტი პაიკით და სამივეჯერ იოლად გაიმარჯვა.

დამახასიათებელია, რომ ლარსენი არახელსაყრელ დაბოლოებებს თითქმის უბრძოლველად აგებდა. პოზიცია, რომლის დაცვასაც შეუპოვარი მოჭადრაკე ხუთი საათის განმავლობაში ეცდებოდა, ლარსენმა ნახევარ საათში წააგო. ჩემი აზრით, დანიელზე, უაღრესად თავმოყვარე კაცზე, დიდად იმოქმედა თავისი უიმედო მდგომარეობის შეგნებამ. გაუგებარია მხოლოდ, რატომ მიდიოდა იგი გადადებული პარტიების სათამაშოდ...

● **რას იტყვით კორჩნოისთან მატჩის წინ?**

სპასკი: საუბარს მატჩის შემდეგ გავაგრძელებ...

## სექტემბერში, ვილნიუსში...

**მოსკოვი**, 30 ივლისი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილენი ვ. კორჩნოი და ბ. სპასკი შეთანხმდნენ, რომ პაექრობას დაიწყებენ სექტემბრის დამდეგს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში. ეს ცნობა გამოაქვეყნა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა.

ფინალურ მატჩში 12 პარტია გათამაშდება. ყაიმის (6:6) შემთხვევაში მეტოქენი ბრძოლას განაგრძობენ დამატებით პარტიებში. მატჩი შეწყდება, როგორც კი ერთ-ერთი მხარე 6,5 ქულას დააგროვებს.

ვ. კორჩნოის მწვრთნელია დიდოსტატი ს. ფურმანი (ლენინგრადი), ბ. სპასკისა — დიდოსტატი ი. ბონდარევსკი (ლენინგრადი).

### უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## „ნაპოლის“ დიდი პრეტენზიები

„ნაპოლი“, სადაც ბოლო წლების მანძილზე ბევრმა გამოჩენილმა ოსტატმა მოიყარა თავი (სივორი, ალტაფინი, ძოფი, ბიანკი, იულიანო, ორლანდო, ბარისონი), წარმატებით გამოდის იტალიის პირველობებში, მაგრამ ვერ მიაღწია სანატრელს — ჩემპიონობას.

წლეულს „ნაპოლი“ კვლავ აპირებს ჩემპიონობის მოხვეჭას. 1968-69 წლების სეზონისთვის გუნდმა უკვე გაყიდა 70 ათასი აბონემენტი, რაც თავისებურ მსოფლიო რეკორდად უნდა ჩაითვალოს. ამან „ნაპოლის“ საშუალება მისცა დაეწყო სათანადო „ალებ-მიცემობითი“ ოპერაციები. გუნდს სათავეში ჩაუდგა იტალიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე პაროლა. იგი აპირებს უახლოეს ხანებში შეიძინოს ორი კარგად ცნობილი მოთამაშე: ცენტრალური მცველი გუარნერი („ბოლონია“) და ცენტრალური თავდამსხმელი ნილსენი, რომელმაც უკანასკნელი სეზონი სრულიად უსარგებლოდ გაატარა „ინტერში“.

### იტალიელები სწავლობენ ინგლისში

**ლონდონში** მიმდინარეობს I, II და III ლიგების მწვრთნელთა სასწავლო მეცადინეობა გამოჩენილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით.

მწვრთნელთა ეს სასწავლო მეცადინეობა არა მარტო ინგლისში, არამედ უცხოეთშიც იპყრობს ყურადღებას. 56 ინგლისელი მწვრთნელის გარდა აქ უცხოელებიც არიან. მაგალითად, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ლონდონში მიავლინა 14 სპეციალისტი. ლონდონის შემდეგ მწვრთნელები მანჩესტერში გაემგზავრებიან, სადაც მათ წინაშე ლექციებით გამოვლენ მ. ბასბი („მანჩესტერ იუნაიტედი“) და მ. ალისონი („მანჩესტერ სიტი“).

## ახალი ამბები

● **ლაიპციგი, 30 ივლისი.** აქ ორ დღეს მიმდინარეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის წყალში მხტომელთა მატჩი. ქალთა შორის კოშკიდან ხტომაში გაიმარჯვა მასპინძელმა ს. ფიდლერმა — 328,30 ქულა. II ადგილზეა გ. ალექსეევა (305,95). ამ სახეობაში გამარჯვება ვაჟებშიც მასპინძლებს დარჩათ. I ადგილზეა ვ. შპერლინგი — 501,45, II — ლ. მატესი — 485,50. მხოლოდ III ადგილზე გავიდა ვ. პოგოჟევი — 461,15. ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის ტოლი არ ჰყავდა თ. პოგოჟევას — 455,20. II ადგილი დაიკავა მასპინძელმა კ. კელერმა — 427,55. ვაჟებში I-II ადგილებზე გავიდნენ საბჭოთა მხტომელები ვ. ვასინი (476,45) და თბილისელი ბ. პოლულიახი (474,85). III ადგილზე დარჩა მატესი (472,40).

● *რიგა, 30 ივლისი. ალუკსნის VI საჭადრაკო ტრადიციულ ფესტივალში, რომელშიც რსფსრ-ს, უზბეკეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიისა და მოსკოვის 40 გუნდამდე (166 ოსტატი და პირველთანრიგოსანი) მონაწილეობს, ლიდერობენ ალუკსნის შარშანდელი თასის მფლობელები — დონის როსტოვის მოჭადრაკეები და ელექტრომექანიზაციის საკავშირო ინსტიტუტის სტუდენტები. რიგას დაცილებული ეს პატარა ქალაქი დიდი ხანი არაა, რაც რაიონული ცენტრი გახდა, მაგრამ იგი სამართლიანად იქცა საჭადრაკო დედაქალაქად. რიგასაც კი არა აქვს საჭადრაკო ფესტივალების ქალაქის ასეთი სახელი.*

● **მოსკოვი**, 30 ივლისი. სპორტის სასახლეში ევროპის ჩემპიონებმა — სსრ კავშირის ფრენბურთელმა ქალებმა მესამედ დაამარცხეს ოლიმპიური ჩემპიონი — იაპონიის ნაკრები. მატჩის ანგარიშია 3:1 (13:15, 15:11, 16:14, 15:4). შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ ამ ქვეყნების ვაჟთა ნაკრები გუნდები. გამარჯვება ამჯერადაც მასპინძლებმა იზეიმეს, მაგრამ ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო. იაპონელებმა საბჭოთა ფრენბურთელებს ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, განსაკუთრებით, მეოთხე პარტიაში. საბოლოოდ თავისი გაიტანა ოლიმპიური ჩემპიონების ოსტატობამ — 3:2 (7:15, 15:4, 15:10, 14:16, 15:6).

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

თბილისი

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. 3 აგვისტო. სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე). დასაწყისი 18 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 07659